საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/309

ქ. ბათუმი 23 მარტი, 2023 წ.

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 23 თებერვლის N215573 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი იქნა ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის იმ პროფესიული სტუდენტების სია, რომელთაც ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის და 66[1]–ე მუხლის მე–6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 23 თებერვლის N215573 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იმ პროფესიული სტუდენტების ***(დანართი №1)*** მიმართ, რომელთაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. დაინტერესებულ პირებს ***(დანართი №1)*** ადმინისტრაციულ წარმოებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, განემარტოთ, რომ შეუძლიათ 3 დღის ვადაში წარმოადგინონ ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარია) წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.

3. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება გამოიცეს 2023 წლის 26 მარტის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საქმის გარემოებების დეტალურად გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე.

4. ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ოფიციალური გაცნობის მიზნით, ინდივიდუალურად ეცნობოს შესაბამის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს (ბრძანებაში აღნიშნულ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით), რომლის უზრუნველყოფა დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ასევე განთავსდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეში.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

6. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 23 მარტის №01-08/309 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა სია, რომლებმაც ვერ შეასრულეს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

	სახელი და გვარი	პირადი N	ჩარიცხვის ბრძანების № და ხელშეკრულების N და თარიღი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
1	ლუკა დუმბაძე		01-08/573, 08.10.2021, №20-04/35, 07.10.2021	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
2	ივანე რიჟვაძე		01-08/573, 08.10.2021, 20-04/25, 07.10.2021	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
	ლელა ფუტკარაძე		01-08/573, 08.10.2021, N20-04/05, 07.10.2021	მეფუტკრეობა